PDF Eraser Free

*დანართი №1*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
**წევრი:**
ტიტე ბოლქვაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**დაწესებულების სახელწოდება:** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა**: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
**საიდენტიფიკაციო კოდი:** [redacted]
**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი კორესპონდენცია. შედგა გასაუბრების განრიგი. განრიგის შესაბამისად 2021 წლის 20 აპრილს ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების რექტორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებთან, დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის MES 6 21 0000345240 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი: ტიტე ბოლქვაძე) დაევალა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 23 აპრილს, 10.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ, საქმიან გარემოში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც <u>სრულად შეასაბამება.</u>

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

**V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა**

არ გაცემულა

**VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება**

არ დაფიქსირებულა

**VII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

**VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IX. სტანდარტების შეფასება

### ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცების რეკვიზიტები: რექტორის N2/61 ბრძანება 18.07.2018 წ ცვლილებები შესულია რექტორის 2021 წლის 1 აპრილის N2/29 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, წერონისის ქ. 208 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | არსებული - 50 პროფესიული სტუდენტი (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად); დამატებით ითხოვს - 50 პროფესიულ სტუდენტს. გაზრდილი რაოდენობა - 100 პროფესიული სტუდენტი. |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |

PDF Eraser Free

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | ქ. თბილისი,წერონისის ქ. 208<br>მოდულური<br>პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა: 100 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | | **შეესაბამება** |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | **შეესაბამება** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ონლაინ დათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული რესურსით.
კერძოდ, პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება:

- სასწავლო გარემო A/C (აუდიტორია N3) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება);
- სასწავლო გარემო A (აუდიტორია N1) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება);
- სასწავლო გარემო A(აუდიტორია N9) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება);
- სასწავლო გარემო B (აუდიტორია N16) - გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე (ორ ცვლაში რაოდენობა ორმაგდება);

პროგრამის განსახორციელებლად, სპეციფიკური აღჭურვილობა რაც განთავსებულია აღნიშნულ A/C გარემოში სჭირდება შემდეგ მოდულებს:

1. საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე;
2. ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი;
3. ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება ;
4. ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი ;
5. სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი

აღნიშნული მოდულები სასწავლო გეგმაში დაგეგმილია სხვადასხვა პერიოდში.

B სასწავლო გარემოს დატვირთვის გადამოწმებით დადგინდა, რომ მისი საერთო დატვირთვა აკადემიაში განხორციელებული სხვა პროგრამის ფარგლებში არ აღემატება 50-60%-ს, გამომდინარე იქიდან, რომ წლიური 60 კრედიტიანი პროგრამის დატვირთვიდან თითოეულ პროგრამაში ინფორმაციული წიგნიერების მოდული საშუალოდ 3 კრედიტიანია.
პრაქტიკის განხორციელება და პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებია:

- შპს იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი - პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 25;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს ფრეიზ - პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 10;
- შპს ელ+ - პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 15;
- შპს კერა+-პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 10;
- შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრი - პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 15;
- შპს „ ქ გრუპი“ - პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა - 10;
- ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია -პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 18;
- შპს სანიტარი-პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 25.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხანგძლივობის (ორი წელი), სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით ერთ მიღებაზე შესაძლებელია ორი ჯგუფის (25+25) ანუ 50 პროფესიულ სტუდენტის მიღება, ხოლო ორწლიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 100 პროფესიული სტუდენტის მიღება. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

**2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების და ასევე სასწავლო გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მოიცავს საკონტაქტო საათებს, მეცადინეობისათვის მომზადებას და საორგანიზაციო ტიპის დატვირთვას, შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობას, სტუდენტთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ნაშრომების შეფასებას და სხვ., რაც მათთან დადებულ ხელშეკრულებაში და შინაგანაწესშია ასახული. დაწესებულებას შრომითი, წინარე და მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს სულ 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 8 ზოგადი მოდულების და 16 დარგის წარმომადგენელი პროფესიული მოდულების განსახორციელებლად.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ასევე განმახორციელებლების პირადი საქმეების გაცნობის და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება, ასევე გავლილი აქვთ შიდა ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, რაც დასტურდება მათი პირადი საქმის შესწავლით. ვიზიტის ფარგლებში აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ იგი პერიოდულად ატარებს კონსულტაციებს და სამუშაო შეხვედრებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებში. დაწესებულებაში ინახება ჩატარებული ტრენინგებისა და კონსულტაციების შესახებ ანგარიშები და დასწრების ფურცლები.

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი რომელიც დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა მისი პროფესიონალიზმი, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და მზაობა პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, თვალნათელი იყო, რომ პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, იგი კონსულტაციებს უწევს პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს, ზრუნავს პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე, მონაწილეობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ ისინი ინახება დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ასევე, საბიბლიოთეკო ჟურნალის გადამოწმებით დადასტურდა რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში; განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ, საკუთარი დაფინანსებით დაბეჭდილია 2 სასწავლო სახელმძღვანელო კონკრეტულად შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნათელ ფართში, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო დარბაზი და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტების სარგებლობისთვის. ბიბლიოთეკას ემსახურება კომპეტენტური ბიბლიოთეკარი, რომელსაც კომპეტენცია უდასტურდება როგორც კვალიფიკაციით, ისე პრაქტიკული გამოცდილებით. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საკანონმდებლო აქტების კონსოლოდირებული ვერსიების წვდომის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო მაცნესთან.

**6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

როგორც დადგინდა, ამ ეტაპზე აკადემიას არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა არსებობის შემთხვევაში მათ წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მცირემხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება გამოთქვამს მზაობას უზრუნველყოს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენა. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში ისინი მოიაზრებენ სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირებასაც.

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

აკადემიამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების მთავარი წყაროა როგორც სწავლის საფასური ასევე ვაუჩერული დაფინანსებაც. ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით განსაზღვრულია რენტაბელობა (11 პროფესიული სტუდენტი), მითითებული რაოდენობა აღემატება პროგრამაზე განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მატერიალური რესურსები ფლობის დოკუმენტაცია;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა
- ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დასაბუთება
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და ხელშეკრულებების გადამოწმების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების ვებგვერდის www.bta.edu.ge დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## XII. თანდართული დოკუმენტაცია

17.05. 2021 წ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: